განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 23-24 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი 31 მაისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი - 1007
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული: 2014.10.06 გადაწყვეტილების ნომერი - 121

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე - სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა - ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) აკრედიტებულია 2014 წლის 10 ივნისს. საანგარიშო პერიოდში (2014-2018) პროგრამაში შევიდა რამდენიმე ცვლილება: შეიცვალა შეფასების სისტემა, შუალედურ და საგამოცდო შეფასებებში დაწესდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, განახლდა სილაბუსები, ახალი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სასწავლო რესურსი, საგნის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტიანი მეთოდები და კრიტერიუმები, განახლდა პროგრამებზე და სასწავლო კურსებზე კოდების მინიჭების წესი, პროგრამაში გამოიკვეთა ორი ძირითადი მოდული - ძველი ქართული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია.
უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ცოდნის ინტეგრირებას სახელოვნებო გარემოში, დადებითი როლის შესრულებას და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში. პროგრამის მიზნები ასახავს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს, იგი შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსადმთავრებულების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინებით.
პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: ძირითადი სპეციალობის საგნები 70 კრედიტი - აქედან სპეციალობის ძირითადი საგნები – 35 კრედიტი, სპეციალობის ერთ-ერთი მოდულის საგნები 35 კრედტი, არჩევითი კურსები 20 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი. პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 მოწვეული პროფესორი, 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 6 სპეციალისტი. პროგრამაში ჩართული 8 აკადემიური პირი აფილირებულია ბხსუ-სთან.
პროგრამაზე ჩარიცხულია 12 სტუდენტი, პროგრამა წარმატებით დაასრულა ხუთმა სტუდენტმა. ამჟამად პროგრამას აქტიური სტატუსის მქონე 3 სტუდენტი ჰყავს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 80% შეადგენს. პროგრამა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ემზადება ახალ შენობაში გადასასვლელად (დასრულებულია სარემონტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი, შეძენილია ინვენტარი), რომლის ფართი და გეგმარება გაცილებით უკეთ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების რეალურ საჭიროებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N 347 – 13.05.2019 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2019 წლის 23 და 24 მაისს. ვიზიტის წინ, 21 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 17.00 საათზე და 19.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დროს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 23 მაისს 16.00 საათიდან დაიწყო და 24 მაისს 15.30 საათამდე გაგრძელდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები, სახელოსნოები, სტუდიები, საგამოფენო სივრცეები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს პლასტიკის შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები.
2. რეკომენდებულია ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, გამრავალფეროვნება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოური სპეციალური ლიტერატურით.
3. რეკომენდებულია უცხოურენოვანი სასწავლო რესურსის (სახელმძღვანელოები, რიდერები, სალექციო კურსები) მუდმივი განახლება/დამუშავება.
4. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.
5. რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის დანერგვა.
6. რეკომენდებულია უცხოეთის სახელოვნებო ცენტრებთან კონტაქტები როგორც კვლევითი, ისე სასწავლო გაცვლითი პროექტების განხორციელების მიზნით.
7. რეკომენდებულია ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა და სტუდენტთა შეფასების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ელექტრონული პორტალის სისტემით. შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტთა ელექტრონული პორტალის შემუშავება და დანერგვა.
8. რეკომენდებულია კურიკულუმში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

9. რეკომენდებულია ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართულობისთვის სტუდენტთა გააქტიურება და მათი მოტივირებულობის უზრუნველყოფა.
10. რეკომენდებულია საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ენობრივი ბარიერით გამოწვეული დაბალი მაჩვენებლის გაუმჯობესება.
11. რეკომენდებულია როგორც სტუდენტთა, ასევე პედაგოგიური პერსონალის უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება.
12. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება.
13. რეკომენდებულია ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გარე შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1 მიზანშეწონილია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მეტად გააქტიურება.
2 მიზანშეწონილია, შუალედური და ფინალური გამოცდები არ შემოიფარგლებოდეს სტუდენტთა მხოლოდ ზეპირი გამოკითხვებით.
3 მიზანშეწონილია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი სასწავლო-კვლევითი ექსპედიციების განხორციელება.
4 მიზანშეწონილია შრომის ბაზრის მოთხოვნების ინტენსიური კვლევა და მისი გათვალისწინება.
5 მიზანშეწონილია პროგრამის შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
6 მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობა, პროგრამის რეკლამა, პოპულარიზაცია.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- დამსაქმებელთა შეხვედრების საფუძველზე პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „კულტურული მემკვიდრეობის მართვა“, რომელიც შეასწავლის სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრევენციულ, საკონსერვაციო, სარესტავრაციო სტრატეგიებს, საკანონმდებლო ბაზისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის პრინციპებს, საერთაშორისო გამოცდილებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის შესაქმნელად.
- დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე პროგრამის თანამედროვე ხელოვნების ისტორიის ბლოკში ჩართულ იქნა XIX-XX საქართველოს არქიტექტურის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ახალი და უახლესი პერიოდის არქიტექტურის ისტორიის განვითარების, ხუროთმოძღვრული თავისებურებების, ღირებულებების, არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების სოციალურ-პოლიტიკურ, ინტერკულტურულ ჭრილში შესწავლას, ასევე თანამედროვე ქალაქების რეაბილიტაცა-ურბანიზაციის პრობლემების გააზრებას.
- საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-

მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სამაგისტრო პროგრამა - ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტებულია 2014 წლის 10 ივნისს. 2015 - 2018 წლებში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის შესაძლებლობები, სკოლის სექტორში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წარმატებები (სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარება, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლა), ადასტურებს, რომ პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და უზრუნველყოფს ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში (2013-2018) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანება 1102/ნ-ის საფუძველზე პროგრამაში შევიდა ცვლილება: შეიცვალა შეფასების სისტემა, შუალედურ და საგამოცდო შეფასებებში დაწესდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რის შედეგად სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გახდა უფრო მოქნილი და ორიენტირებული აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე. განახლდა ასევე პროგრამებზე და სასწავლო კურსებზე კოდების მინიჭების წესი.მოდიფიცირებულ პროგრამაში გამოიკვეთა ორი მოდული: პროგრამაში შემავალი მოდულები - **ძველი ქართული ხელოვნების ისტორია** და **თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია** - ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობისა და ახალი და თანამედროვე ხელოვნების სფეროში დაგროვილი მეცნიერული ცოდნის გაღრმავებაზე. ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია ძველი ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების განვითარების, მხატვრული ამოცანების ღრმა და სისტემური შესწავლა, ქართული ხელოვნების, იდეური და საღვთისმეტყველო საფუძვლების გააზრება, ხელოვნების ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და სტილისტური ანალიზი, პრობლემის ისტორიულ-კულტურულ ჭრილში განხილვა, კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემების მსოფლიო კულტურის კონტექსტში საფუძვლიანი შესწავლა, ახალი და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრული პროცესების, სტილისტური ტენდენციების შეფასება თანამედროვე მსოფლმხედველობით.

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები აკადემიური სპეციალობების ჩამონათვალის ნაწილში. ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა „ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში“, მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: „ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში; ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში, რესტავრაცია/კონსერვაციის, კულტურის კვლევების მიმართულებით; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი (minor) პროგრამის ან ხელოვნების ისტორიის არჩევითი კურსების გავლით“.
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების ინტერვიუების საფუძველზე, პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს დასაწყისშივე არჩეული აქვთ მოდული და კვლევითი მიმართულება. აქედან

გამომდინარე, პირველ სემესტრში კონცენტრირებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები გადანაწილდა მეორე, მესამე სემესტრებში და მათ ნაცვლად, პირველივე სემესტრიდან განთავსდა როგორც სპეციალობის ძირითადი კურსები, ასევე სპეციალობის მოდულის საგნები და არჩევითი დისციპლინები. სასწავლო პროცესების სტრუქტურის ასეთი განახლების შედეგად პროგრამამ შეიძინა მეტი მოქნილობა და შესაძლებელი გახდა მოდულის საგნების მეტ-ნაკლებად ქრონოლოგიური პრინციპით განთავსება, და ძირითადად მეორე-მესამე სემესტრში კონცენტრირებული სპეციალიზებული მოდულის საგნების თანმიმდევრული გადანაწილება.

3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მხარეების ჩართულობით, სასწავლო კურსი „ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები“ ნაცვლად 10 კრედიტისა ჩამოყალიბდა - 5 კრედიტის მოცულობით. საგნის თეორიული ნაწილი ეთმობა კვლევის მეთოდების გაცნობას და პრაქტიკაში გამოყენების მაგალითების გააზრებას. ანალიზის უნარების განვითარებას ხელს უწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი და ჯგუფში მუშაობისათვის გათვალისწინებული საათები, რომელიც ეთმობა დისკუსიებს ბათუმის ხელოვნების მუზეუმის ფერწერული ექსპონატების, ქანდაკებებისა და არქიტექტურის ნიმუშების ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საკითხებს. ამასთანავე, ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ფორმის ანალიზის უნარები ფასდება სპეციალობაში მისაღები გამოცდის ნაწილში, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო საფეხურით გათვალისწინებული მხატვრული ფორმის ანალიზის, ხელოვნებათმცოდნეობითი ხედვის ელემენტარული უნარ-ჩვევები. ხელოვნების ნიმუშების ანალიზის ელემენტები ჩართულია თითქმის ყველა სასწავლო დარგობრივი კურსის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილში და ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. აღნიშნული სასწავლო კურსი და დარგობრივი ბლოკის საგნები ემსახურება ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აისახება სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდების შერჩევასა და ხელოვნების ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის უნარების დაუფლებაში.

4. პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „კულტურული მემკვიდრეობის მართვა“, რომელიც შეასწავლის სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრევენციულ, საკონსერვაციო, სარესტავრაციო სტრატეგიებს, საკანონმდებლო ბაზისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის პრინციპებს. საგნის აქტუალობას განაპიროებებს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების ცოდნისა და გამოყენების მოთხოვნილება. სასწავლო კურსი შემუშავდა დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით.

5. პროგრამის მესამე სემესტრში გათვალისწინებულ საგანში - „კვლევითი პროექტი“ საკვლევი თემატიკა განისაზღვრებოდა მხოლოდ სპეციალიზებული მოდულის ჩარჩოებში წარმოდგენილი ქრონოლოგიური პერიოდითა და ხელოვნების დარგებით. სილაბუსის განახლების შედეგად სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს საკვლევი პრობლემა როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მიმართულებით. კვლევითი პროექტი, წინა სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე და დასკვნითი შეფასებისა, შეფასდება ერთჯერადად, კომისიური წესით.

6. სამაგისტრო ნაშრომი, განსხვავებით წინა სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე და დასკვნითი შეფასებისა, ახალი სილაბუსით შეფასდება ერთჯერადად, კომისიური წესით.

7. დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე თანამედროვე ხელოვნების ისტორიის ბლოკში ჩართულ იქნა XIX-XX საქართველოს არქიტექტურის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ახალი და უახლესი პერიოდის არქიტექტურის ისტორიის განვითარების, ხუროთმოძღვრული თავისებურებების, ღირებულებების, არქიტექტურაში მიმდინარე

პროცესების სოციალურ-პოლიტიკურ, ინტერკულტურულ ჭრილში შესწავლას, ასევე თანამედროვე ქალაქების რეაბილიტაცია-ურბანიზაციის პრობლემების გააზრებას.

8. არჩევითი სასწავლო კურსი „კულტურის პროექტის მენეჯმენტი“, შინაარსიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა სახელწოდებით „კულტურის მენეჯმენტი“ და მასში ჩართულ იქნა პროექტზე მუშაობის კომპონენტიც.

9. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა საგანი „მარკეტინგული კომუნიკაციები“,რომელიც გათვალისწინებულია მარკეტინგის თავსებურებების შესახებ ცოდნის შეძენის, პრაქტიკაში დანერგვისა და განხორციელების ხერხების დასაუფლებლად, რაც დაეხმარება სტუდენტს ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მარკეტინგის უნარების გამოყენებაში.

10. სასწავლო კურსი „XX საუკუნის მუსიკის ისტორია“- საგნის მიზნების, შინაარსისა და შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სახელწოდებით „XX საუკუნის მუსიკის ძირითადი ტენდენციები“.

11. სასწავლო კურსები განახლდა ახალი სასწავლო-სამეცნიერო რესურსით, სპეციალობის სასწავლო კურსებში შემუშავდა რიდერები ქართულ ენაზე.

12. მომდევნო სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი გადადის საგანმანათლებლო პროცესების უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემაზე, რაც უფრო ეფექტურს გახდის და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის ძირითადი ვექტორია უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილის დაკავება რეგიონში. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) მიზნად ისახავს მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც რეგიონის (და არა მხოლოდ) მასშტაბით შეძლებენ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარებას, ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ადეკვატურ შეფასებას და კვლევის შედეგების მეცნიერებაში შემოტანას, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას, ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების წარმოჩენას. უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ცოდნის ინტეგრირებას სახელოვნებო გარემოში, დადებითი როლის შესრულებას და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში. პროგრამაში შემავალი ორი ძირითადი მოდული - ძველი ქართული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია - ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობისა და ახალი და თანამედროვე ხელოვნების სფეროში დაგროვილი მეცნიერული ცოდნის გაღრმავებაზე. ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია ძველი ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების განვითარების, მხატვრული ამოცანების ღრმა და სისტემური შესწავლა, ქართული ხელოვნების, იდეური და საღვთისმეტყველო საფუძვლების გააზრება, ხელოვნების ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და სტილისტური ანალიზი, პრობლემის ისტორიულ-კულტურულ ჭრილში განხილვა, კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემების მსოფლიო კულტურის კონტექსტში საფუძვლიანი შესწავლა, ახალი და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრული პროცესების, სტილისტური ტენდენციების შეფასება თანამედროვე მსოფლმხედველობით. პროგრამა მოწოდებულია მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარებას, ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ადეკვატურ შეფასებას და კვლევის

შედეგების მეცნიერებაში შემოტანას, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას, ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების წარმოჩენას. პროგრამის მიზნები ასახავს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს, იგი შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსადმთავრებულების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ამზადებს შესაბამისი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ სპეციალისტებს. ამდენად, პროგრამას თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში, ემსახურება რეგიონში ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევებისა და ამ კვლევების პრაქტიკაში იმპლემენტაციის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია; ○ ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ ბხსუ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; ○ ბხსუ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ბხსუ-ს ვებგვერდი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, კერძოდ, პროგრამა სტუდენტს აძლევს ცოდნას როგორც ხელოვნების ისტორიის უძველესი და ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების ხელოვნების დარგების (არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, რელიფური ქანდაკება, მინიატურა), რელიგიური თუ ისტორიული კონტექსტების შესახებ, რამაც განაპირობა თვითმყოფადი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება და განვითარება, ასევე საფუძვლიან ცოდნას XIX-XX საუკუნეების მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემების ირგვლივ, ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გააზრების უნარს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიის განვითრების, მხატვრულ-ისტორიული კანონზომიერებების შესახებ. მას შეუძლია ხელოვნების ნაწარმოების აღწერა, ანალიზი და კვლევა, იცის ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკა, კვლევის პრინციპები და მეთოდები. მაგისტრს გააზრებული აქვს ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, თავისებურებები და მნიშვნელობა მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, აქვს ნამუშევრის, ისტორიული ეპოქის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების განსაზღვრისა და შეფასების უნარი, იცის კულტურის სამართლის ნორამტიული საფუძვლები, იცის თანამედროვე პედაგოგიკისა და სწავლა/სწავლების ახალი ტექნოლოგიები, ხელოვნების ფილოსოფიის ასპექტები, კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და დაცვის ძირითადი პრინციპები, აქვს სამუზეუმო საქმის, მუზეუმის მენეჯმენტის თეორიულ-პრაქტიკული პრინციპების ცოდნა.

პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, კომპონენტები, მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის ძირითადი და სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსებით, რომელიც ხელს უწყობს მათ დასაქმებას შრომის ბაზარზე. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის განხორციელების პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი

საგნები, ვიწრო სპეციალიზებული მოდულის საგნები და არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსები. პროგრამის კომპონენტების გავლის თანმიმდევრობა დაცულია: ანალიზი და კვლევის მეთოდები, დარგის სავალდებულო ძირითადი კურსები, სასპეციალიზაციო მოდულის დისციპლინები, სამუზეუმო პრაქტიკა, კვლევითი პროექტი და არჩევითი საგნები, მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამაში მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია კურსების ქრონოლოგიური წყობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა. სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირი ვლინდება სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობით. პროგრამის კომპონენტების ნაწილის ათვისება შესაძლებელია პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლით შეძენილი კომპეტენციების გარეშე და ამიტომ წინაპირობას არ ითვალისწინებს. პროგრამის სასწავლო კურსების კომპეტენციები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, თანმიმდევრობა, წინაპირობები, სპეციალიზებული მოდულის შესაბამისად, ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სწავლების როგორც ქრონოლოგიურ, ასევე ხელოვნების ისტორიის პერიოდების, დარგების თავისებურებების, იდეურ-მხატვრული ამოცანებისა მიღწევების, კვლევის მეთოდების შესწავლის პრინციპს. თითოეული სასწავლო კურსი ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის კომპონენტები მაგისტრს უყალიბებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებებს, სიახლეების მოძიების, დამუშავების, კვლევის, ანალიზის, დასკვნის უნარს, ასწავლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ხელს უწყობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ძირითადი უპირატესობაა დარგობრივი ცოდნა, მაღალი მოტივაცია მუშაობისთვის, მზაობა თვითგანვითარებისთვის. დამსაქმებელთათვის ასევე მნიშვნელოვანია ისეთი უნარები, როგორიცაა ეთიკური ქცევა და კომუნიკაციის უნარი, გადაწყვეტილების მიღებამდე კოლეგების აზრის მოსმენა, სხარტი აზროვნება და ინტუიცია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობა.

უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხორციელდება საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ანალიზის შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით.

ამასთანავე, პროგრამის ძირითად ვადაში სწავლის დასრულების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა შეფასებები, კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალობით დასაქმების, კურსდამთავრებულთა მიერ მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების მიზნით სასერტიფიკატო გამოცდებზე ბარიერის გადალახვის მაჩვენებელი (რაც, თავის მხრივ, დასაქმების ხელშემწყობი გარემოებაა) წარმოადგენს პროგრამის შედეგების შეფასების მაჩვენებელს.

ამასთან, ინტერვიურების დროს, როგორც დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულების მხრიდან აღინიშნა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის კიდევ მეტად გაფართოების სურვილი, რაც, გარკვეულწილად, სტაჟირების პროგრამების გააქტიურებისა და ერთობლივი ექსპედიციების ორგანიზების შედეგად იქნება მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი), სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები;
- კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების, სასერტიფიკატო გამოცდების შედეგების მაჩვენებელი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მეტად გააქტიურება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დამსაქმებელთა შეხვედრების საფუძველზე პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „კულტურული მემკვიდრეობის მართვა“, რომელიც შეასწავლის სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრევენციულ, საკონსერვაციო, სარესტავრაციო სტრატეგიებს, საკანონმდებლო ბაზისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის პრინციპებს, საერთაშორისო გამოცდილებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის შესაქმნელად.

- დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე პროგრამის თანამედროვე ხელოვნების ისტორიის ბლოკში ჩართულ იქნა XIX-XX საქართველოს არქიტექტურის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ახალი და უახლესი პერიოდის არქიტექტურის ისტორიის განვითარების, ხუროთმოძღვრული თავისებურებების, ღირებულებების, არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების სოციალურ-პოლიტიკურ, ინტერკულტურულ ჭრილში შესწავლას, ასევე თანამედროვე ქალაქების რეაბილიტაცა-ურბანიზაციის პრობლემების გააზრებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს: • ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში; • ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში, რესტავრაცია/კონსერვაციის, კულტურის კვლევების მიმართულებით. • ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი (minor) პროგრამის ან ხელოვნების ისტორიის არჩევითი კურსის გავლით. • საერთო სამაგისტრო გამოცდა • სასპეციალიზაციო ზეპირი გამოცდა საგანში - „ მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია“. • დეტალური ინფორმაცია სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები, ჩატარების წესის, ფორმისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ განთავსდება ბხსუ-ს ვებ-გვერდზე: www.batu.edu.ge

- (პროგრამაზე მისაღების სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები და ლიტერატურა - წარმოდგენილია შესაბამის დანართში).
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხო ენის დონის დასადგენ ტესტირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- ბხსუ-ს ვებ გვერდი: www.batu.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ შემუშავებულია სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს შესაბამისი კვალიფიკაცია ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:
ძირითადი სპეციალობის საგნები 70 კრედიტი - აქედან სპეციალობის ძირითადი საგნები – 35 კრედიტი, სპეციალობის ერთ-ერთი მოდულის საგნები 35 კრედტი, არჩევითი კურსები 20 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი. პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, კომპონენტების ერთობლიობა, მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის განხორციელების პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი საგნები, ვიწრო სპეციალიზებული მოდულის საგნები და არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსები.
პროგრამის კომპონენტების გავლის თანმიმდევრობა დაცულია: ანალიზი და კვლევის მეთოდები, დარგის სავალდებულო ძირითადი კურსები, სასპეციალიზაციო მოდულის დისციპლინები, სამუზეუმო პრაქტიკა, კვლევითი პროექტი და არჩევითი საგნები, მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს.
პროგრამაში მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია კურსების ქრონოლოგიური წყობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა. სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირი ვლინდება სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობით. პროგრამის კომპონენტების ნაწილის ათვისება შესაძლებელია პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლით შეძენილი კომპეტენციების გარეშე და ამიტომ წინაპირობას არ ითვალისწინებს.
პროგრამის ყველა კომპონენტი მაგისტრს უყალიბებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებებს, სიახლეების მოძიების, დამუშავების, კვლევის, ანალიზის, დასკვნისა თუ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, ხელს უწყობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, პროგრამის აკადემიური პერსონალი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოდიფიცირებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მეშვეობით. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ანოტაციის და სასწავლო გეგმის განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი);
- პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია);

- პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების დამადასტურებელი დოკუმენტი: რექტორის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-08/75 ბრძანება;
- ბხსუ-ს ვებგვერდი: www. batu. edu.ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა, სწავლის მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეულ სემესტრში კრედიტები განაწილებულია თანაბრად - 30 კრედიტის მოცულობით, 1 კრედიტი 25 საათი. საგანმანათლებლო პროგრამაში არის 5, 10 კრედიტიანი საგნები. 5 კრედიტინი საგნისათვის გამოყოფილია 30 საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის 95 საათი. თითოეულ საგანში ინდივიდუალურად, მისაღწევი შედეგიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სალექციო და სასემინარო/ჯგუფში მუშაობის საათები.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. შესაბამისი სასპეციალიზო მოდულის მიხედვით, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, თანმიმდევრობა, წინაპირობები ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სწავლების ქრონოლოგიურ, ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის, დარგების თავისებურებების, იდეურ-მხატვრული ამოცანების მიღწევების, კვლევის მეთოდების შესწავლის პრინციპებს. სასწავლო კურსები ფოკუსირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე.

სპეციალობის ძირითადი საგნების ჩამონათვალში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები ხელოვნების ნიმუშების ანალიზის დაუფლებისათვის, ხელოვნებათცოდნეობითი კვლევის მეთოდების, ხელოვნების ფილოსოფიის კონცეფციების გააზრების, კულტურის სამართლის საკანონმდებლო ბაზისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის ძირითადი პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. ამასთან, სასწავლო კურსი: „სამუზეუმო პრაქტიკა“ მაგისტრანტს აძლევს თანამედროვე მუზემუმის მოთხოვნების, სამუზეუმო პროექტების მომზადების საკითხების ცოდნას. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსი: „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ ემსახურება საუნივერსიტეტო სწავლება/სწავლის პრინციპებისა და მეთოდების, თანამედროვე მიდგომების შესწავლას, კურსდამთავრებულის პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აუცილებელი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შეძენას. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იძლევა საფუძველს დასაქმების ბაზარზე კვლევით-ანალიტიკური, სამუზეუმო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის, პედაგოგიური მიმართულებით ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ქრონოლოგიური ან დარგების სპეციფიკის მიხედვით გაერთიანებული სპეციალიზებული მოდულის საგნები განსაზღვრულია ისტორიული, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შესასწავლად, ქართული ხელოვნების თვითმყოფადობისა და მსოფლიო ხელოვნებაში მისი ადგილისა და როლის შესაცნობად, ქართული ხელოვნების კვლევის აქტუალური პრობლემატიკის, თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ეროვნულ თუ ინტერკულტურულ ჭრილში გასააზრებლად, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის მეთოდების, თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომების ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევების შესაძენად. პროგრამაში ფართოდაა წარმოდგენილი ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ფერწერის, არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ასპექტები, თუმცა, არ არის გათვალისწინებული პლასტიკისა და ქანდაკების კომპონენტი, რაც თანამედროვე კულტურის პარადიგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სტუდენტის ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოებისა და შრომის ბაზარზე დასაქმების მეტი შესაძლებლობებისათვის პროგრამა მოიცავს არჩევით სასწავლო კურებს ორივე მოდულისათვის მომიჯნავე საგნებისა და ზოგადი ხასიათის, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული დისციპლინების სახით. არჩევითი ბლოკში გათვალისწინებულია უცხო ენის სპეცკურსები (ინგლისური, რუსული).

სასწავლო კურსების სპეციფიკის, შინაარსის, მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით შემუშავებულია სწავლების რელევანტური მეთოდები, აქტივობები, სასწავლო კურსის ფორმატი, ლიტერატურა, სასწავლო მასალა. სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეესაბამება დარგის სიახლეებს, ითვალისწინებს თანამედროვე კვლევებსა და სახელოვნებათმცოდნეო სკოლის

ფუძემდებელთა მიერ წინა წლებში გამოცემული ნაშრომებს, თუმცა, რეკომენდებულია, ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, გამრავალფეროვნება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოური სპეციალური ლიტერატურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო პროცესის სტრუქტურა.
- პროგრამის სილაბუსები.
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს პლასტიკის შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები.
- რეკომენდებულია ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, გამრავალფეროვნება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოური სპეციალური ლიტერატურით.
- რეკომენდებულია უცხოურენოვანი სასწავლო რესურსის (სახელმძღვანელოები, რიდერები, სალექციო კურსები) მუდმივი განახლება/დამუშავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ/სამეცნიერო კვლევით კომპონენტებს, რომლებიც პროგრამის ძირითად ბადეში წარმოდგენილია სხვადასხვა კურსების სახით. მათ შორის - კურსი: „სამუზეუმო პრაქტიკა“ გულისხმობს მაგისტრანტის მხრიდან შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას სამუზეუმო ფონდების კლასიფიკაციისა და კვლევების ჩატარებისათვის, სამუზეუმო პროგრამების პროექტის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. კურსი: „კვლევითი პროექტი“ არ წარმოდგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, მისი თემატიკა მოიცავს ძველი, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კონკრეტული დარგის განვითარების საკითხებს, კვლევის პრობლემატიკას, კონკრეტული ნიმუშის ან ნიმუშების მხატვრულ-ისტორიული თავისებურებების შესწავლას, შედარებით ანალიზს თანამედროვე ეპოქის ძეგლებთან, დამუშავებული მასალის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის შედეგად საკვლევი საკითხის თავისებურებების გამოკვეთას და მის მიმართებას თანადროული პერიოდის ნიმუშებთან. კურსი, სპეციფიკიდან გამომდინარე, ითვალისწინებს გასვლით ექსპედიციებს ხელოვნების ნიმუშების, ისტორიული ძეგლებისა თუ თანამედროვე ურბანული ნიმუშების შესწავლისათვის, თუმცა, ძირითადად, ემსახურება კვლევითი უნარების განვითარებას. პრაქტიკის ელემენტები ჩაშენებულია ასევე სასწავლო კურსში „XIX-XX სს-ის საქართველოს არქიტექტურა“, სადაც გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალებების შესრულება ქალაქის არქიტექტურის ისტორიის, მხატვრული სტილისა და ურბანიზაციის პრობლემებზე. პრაქტიკული დავალებების შესრულებას, პროექტის მომზადება-წარდგენის კომპონენტებს შეიცავს ასევე არჩევითი საგანი „კულტურის მენეჯმენტი“. სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში (30 კრედიტი) გათვალისწინებულია შეძენილი ცოდნის საფუძველზე სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ჩატარება სტუდენტის მიერ შესწავლილი მოდულის ფარგლებში. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო პროგრამების განხორციელების წესში. სამეცნიერო/კვლევითი უნარების ჩამოყალიბების და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სტუდენტებთან მუშაობა ეთიკის კოდექსის საკითხებზე. პროგრამის აკადემიური პერსონალი ამ მხრივ კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაფიქსირებულია პლაგიატის დაუშვებლობა და სტუდენტებს ეძლევათ ინსტრუქცია გამოყენებული წყაროების მითითების, ციტირების წესის შესახებ, თუმცა პლაგიატის თავიდან აშორების მიზნით რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის დანერგვა. პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ კონფერენციებში. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ წაკითხულია 4 მოხსენება, გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი. ასევე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილია პროექტი სამაგისტრო ნაშრომის („ჰუჯაბის ეკვდერის მოხატულობა“) დაფინანსების მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კონფერნციებში მონაწილეობის თვალსაზრისით, სტუდენტთა აქტივობა, შედარებით დაბალია. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს, კულტურულ, გასართობ და სხვ. ღონისძიებებს, რომლებიც ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჩართულობას შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში, კვლევითი ნაშრომების/პროექტების

მომზადების ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას. ამასთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების ჩართულობას ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობის, პროექტებში მონაწილოების მიზნით: მაგალითად, პოტენციურ დამსაქმებელთა შემოთავაზებით სტუდენტები ესწრებიან აჭარის არ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამშენებლო ნებართვების გაცემის დეპარტამენტის საბჭოს სხდომებს, ასევე მათ მიერ ჩატარებული საქმიან შეხვედრებს. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუირების პროცესში რორგორც დამსაქმებელთა, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა მხრიდან აღინიშნა პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების სურვილი. პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა დამოუკიდებელი დისციპლინის სახით - დამსაქმებლებსა და სტუდენტებს სტაჟირების პროგრამების გააქტიურების შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია უცხოეთის სახელოვნებო ცენტრებთან კონტაქტები როგორც კვლევითი, ისე სასწავლო გაცვლითი პროექტების განხორციელების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სტუდენტთა კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი (კონფერენციის პროგრამები); ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი. ▪ რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის დანერგვა. ▪ რეკომენდებულია უცხოეთის სახელოვნებო ცენტრებთან კონტაქტები როგორც კვლევითი, ისე სასწავლო გაცვლითი პროექტების განხორციელების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა და შერჩეულია სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებითაც უზრუნველყოფილია როგორც კონკრეტული კურსის, ასევე შესაბამისი მოდულის და, მთლიანად, პროგრამის სწავლის შედეგები. ამასთან, სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შინაარსს. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლება/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები: ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი, წერითი, ლაბორატორიული, დემონსტრირების, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, პორტფოლიოს წარმოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლა-სწავლის მეთოდები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების სისტემა უნივრსიტეტში გამჭვირვალეა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ობიექტურად ვრცელდება ყველა სტუდენტის მიმართ. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისათვის. სილაბუსში გაწერილ შეფასების ფორმებსა და კომპონენტებს სტუდენტი ეცნობა სემესტრის დასაწყისში, სასწავლო კურსის პროფესორ/მასწავლებელი მათ აცნობს კურსის შინაარსს, თეორიული და პრაქტიკული დავალებების თემატიკას (რაოდენობა და შესრულების ფორმა), სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების კომპონენტებს, შუალედური და დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებს და შეფასებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტის შეფასება ეფუძნება 100 ქულიან სისტემას. აქედან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს

სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:
დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:
ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დიზაინის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე (ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია და ა.შ.) დასკვნითი გამოფენა-გამოცდის შესაფასებლად შემუშავებულია შეფასების რუბრიკა. შეფასების რუბრიკის ფორმა საერთოა ყველა საშემსრულებლო სასწავლო კურსისათვის. განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასებას აკვირდება დეპარტამენტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი.

უნივერსიტეტში მოქმედებს აპელაციის მექანიზმი და სტუდენტები ინფორმირებული არიან მის შესახებ.აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სწავლების პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას.
სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაწერილია სხვადასხვა ტიპის დისციპლინებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კომპონენტები. მიღებული შედეგის გაუმჯობესების, ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით სტუდენტი იღებს უკუკავშირს, აქვს პედაგოგთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა და შეუძლია დაგეგმოს მიღებული შედეგის გაუმჯობესების გზები.
აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ორი-მიმდინარე და დასკვნითი შეფასების მეშვეობით, შესაბამისად 60 და 40 მაქსიმალური ქულით. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). ეს გარემოება (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი) საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას აღნიშნულ ბრძანებასთან.
უნივერისტეტში პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და სტუდენტთა ინფორმირებულობის შემოწმების მიზნით.
ამდენად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ.
ამასთან, რეკომენდებულია ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა და სტუდენტთა შეფასების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ელექტრონული პორტალის სისტემით.

შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტთა ელექტრონული პორტალის შემუშავება და დანერგვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბხსუ-ს შეფასების სისტემები; შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა); ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ბხსუ-ს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა და სტუდენტთა შეფასების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ელექტრონული პორტალის სისტემით. შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტთა ელექტრონული პორტალის შემუშავება და დანერგვა. ▪ რეკომენდებულია კურიკულუმში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ მიზანშეწონილია, შუალედური და ფინალური გამოცდები არ შემოიფარგლებოდეს სტუდენტთა მხოლოდ ზეპირი გამოკითხვებით. ▪ მიზანშეწონილია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი სასწავლო-კლვევითი ექსპედიციების განხორციელება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა აკადემიურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს დეკანატი, დეპარტამენტები, პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტები ინფორმირებული არიან აკადემიური კალენდარის შესახებ. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან უშუალო კომუნიკაციის გზით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც უწევს სტუდენტებს ტრენინგ-კონსულტაციებს პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. სამსახური ეხმარება პრეზენტაციებისა და საკონკურსო პროექტების შემუშავებაში, უზრუნველყოფს დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ, აკავშირებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტი ზრუნავს იმაზე, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ საქალაქო თუ სხვა ღონისძიებების, კონკურსების პირობების თაობაზე. დეკანატი, კარიერული მხარდაჭერის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას ასევე სტაჟირების პროგრამების თაობაზე.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, შემოქმედებით აქტივობებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, მაგრამ ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით, გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტში დაბალია პროგრამის შესაბამის სფეროში ინტერნაციონალიზაციის დონე. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათების ჩატარება და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინტერნეტ საიტიდან და სოციალური ქსელიდან. ბხსუ-ში ინფორმაციის გავრცელების მთავარი წყაროა ვებგვერდი http://www.batu.edu.ge .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ ბხსუ- შინაგანაწესი; ○ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, კარიერული სამსახური, ბიბლიოთეკა) ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ○ ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ბხსუ ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართულობისთვის სტუდენტთა გააქტიურება და მათი მოტივირებულობის უზრუნველყოფა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი განსაზღვრულია სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადმიური ან მოწვეული პერსონალი. მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რასაც ადასტურებს ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პროფესორების კვალიფიკაცია. სამაგისტრო თემის შერჩევა ხდება სამეცნიერო თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სტუდენტის მიერ შესწავლილი მოდულის ფარგლებში, მისი ინტერესებისა და თემის აქტუალობის გათვალისწინებით.
ხელმძღვანელი რეგულარულ კონსულტირებას უწევს სტუდენტს ნაშრომის გეგმის მომზადების, ლიტერატურის მოძიების, საილუსტრაციო მასალების მოპოვების, ნაშრომის წერის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, საკვლევი პრობლემის მოხსენების სახით სამეცნიერო ღონისძიებებში წარდგენის პროცესში.
ამ მხრივ უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს:

1. სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმების გამოყენება;
2. პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან, სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების გარდა, კონსულტაციების გაწევის მზაობა როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე დისტანციურად;
3. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ხელშეწყობა;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, საკვლევ ბაზებთან წვდომა;
5. პროექტებში მონაწილეობის წვდომა.
6. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების არჩევანის თავისუფლება.

ამასთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ არცთუ იშვიათად, ენობრივი ბარიერის გამო, უცხოურ ენაზე არსებული ლიტერატურისა თუ უახლესი საერთაშორისო კვლევების ხელმისაწვდომობა მათთვის შეზღუდულია. იგივეს ადასტურებს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ბი ;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია.

რეკომენდაციები:

▪ რეკომენდებულია საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ენობრივი ბარიერით გამოწვეული დაბალი მაჩვენებლის გაუმჯობესება. ▪ რეკომენდებულია როგორც სტუდენტთა, ასევე პედაგოგიური პერსონალის უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე 8 პროფესორი: მათ შორის - 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი. ასევე, 1 მოწვეული პროფესორი, 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 6 სპეციალისტი. პროგრამაში ჩართული 8 აკადემიური პროფესორი აფილირებულია ბხსუ-სთან. უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. ბხსუ-ში დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა რეგულირდება ბხსუ-ს შინაგანაწესით. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით. სამაგისტრო პროგრამის პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს აქვთ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის უშუალო ჩართულობით შემუშავდა მოდიფიცირებული სამაგისტრო პროგრამა, სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, ხელს უწყობენ სტუდენტთა ჩართულობას პროექტებში, ზრუნავენ სტუდენტთა რეკომენდირებაზე პოტენციურ დამსაქმებლებთან. პერიოდულად, დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, აწყობენ შეხვედრებს დამსაქმებლებთან პროგრამის გაცნობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის მიზნით. მუდმივი კონტაქტი აქვთ კურსდამთავრებულებთან, ინფორმირებული არიან მათი კარიერული წინსვლის შესახებ, თავადაც ახდენენ კურსდამთავრებულთა ინფორმირებას ვაკანსიების შესახებ, ეხმარებიან მათ დასაქმებაში.

პროგრამის სტუდენტები, ასევე, უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. გასაუბრებისას სტუდენტების მხრიდან აღინიშნა

მეგობრული გარემო და თბილი ურთიერთობა პროგრამის პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსი; ○ ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი; ○ ბხსუ-ს მოწვეული პერსონალის მიღების წესი; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; ○ პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ ბხსუ - სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები); ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების CV, პირადი საქმეები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები. ○ ბხსუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ბხსუ-ს ვებგვერდი: www.batu.edu.ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი და შექმნილია ლექციაზე დასწრებისა და შეფასების სპეციალური ფორმა.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვას აფასებს ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო. თავის მხრივ, ინდივიდუალური დატვირთვა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას, შემოქმედებით/სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მონაწილეობას სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის პროექტებში, ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში.
სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვ. მეცადინეობების ხარისხი). ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი (მოიაზრება ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პრო¬ფესიონალური კომპეტენტურობა) და პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი (მოიცავს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობის და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს). თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი.
ბხსუ-ში მონიტორინგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პროგრამების პერსონალის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარების განვითარების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფის და პროგრამის ადამიანური რესურსის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვისათვის.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი იწვევს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად. ამ გზით ხდება თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების, გამოცდილების გაზიარება.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება სამეცნიერო კვლევებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პუბლიკაციებში, კვლევით პროექტებში, კონფერენციებში მათი მონაწილეობით.

უნივერსიტეტის მიერ ფასდება პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა, მათი ჩართულობა სასწავლო კურსების პროგრამების მოდიფიცირებაში, რიდერების მომზადებაში,სასწავლო მასალების განახლებაში. მნიშვნელოვანი კომპონენტია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობა. აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილია საერთაშორისო შემოქმედებით პროექტებში, გამოფენებში, კონკურსებში მონაწილეობა. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას: ვორქშოფებს, ტრენინგებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებს. ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლა/სწავლების მეთოდებში ტრენინგების გეგმა და ახორციელებს მას მიმდინარე პერიოდში. ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპლექსური ტრენინგები სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიასა და უცხო ენის სწავლის მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი; ○ ბხსუ-ს სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმა; ○ პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის CV ; ○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები; ○ ბხსუ-ს ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე არსებულ შენობაში (ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ N 37). ამჟამად სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში უნივერსიტეტი გადადის ახალ შენობაში, სადაც ფაქტობრივად დასრულებულია სარემონტო სამუშაოები (აუდიტორიები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცეები და სხვ.) და მიმდინარეობს შენობის ტექნიკური აღჭურვა; უნივესიტეტს შეძენილი აქვს შესაბამისი ინვენტარის დიდი ნაწილი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან, აღჭურვილია ელექტრონული რიდერებით და წიგნების ონლაინ ვერსიებით, თუმცა შეინიშნება უცხოენოვანი პერიოდული გამოცემების ნაკლებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- www.batu.edu.ge Open -ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)“ ფინანსდება უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებით და საკუთარი შემოსავლებით. ზოგადად უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მიხედვით. 2019 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული ფინანსური რესურსები და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №05-01/01 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ და 2018 წლის 04 აპრილის №05-01/02 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები.პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე ასპექტს, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. უნივერსიტეტში შემუშავებულია და გამოიყენება რამდენიმე სახის კითხვარი კმაყოფილების კვლევების ჩასატარებლად. ესენია:

1. სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
2. სტუდენტის კმაყოფილების კვლევა;
3. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი;
4. დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
5. პოტენციურ დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
6. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი.

კმაყოფილების კვლევის შეფასების სისტემა მოიცავს სასწავლო პროცესს სრულად და ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს SWOT-ანალიზის გაკეთებას, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროგრამულ დონეზე.ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებს ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესების, პროგრამების განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის ასპექტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის სამოქმედო გეგმა. ○ ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“; ○ შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ○ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ,,კმაყოფილების კვლევის შეფასება“.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. ამავე მიზნით გამოყენებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, თუმცა, პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდებული იქნებოდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა გარე შეფასების მექანიზმი სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი დარგების სპეციალისტების ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გარე შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სასწავლო მასალების და საგამოცდო მასალების, ასევე გამოცდების მონიტორინგი და გამოცდის შედეგების ანალიზი). ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას,სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ. ამგვარი მონიტორინგის და პროგრამის განვითარების სისტემის მოქმედების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება: თავიდან განისაზღვრა საგნების მოცულობა კრედიტებით, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა რამდენიმე დისციპლინა, რომლითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა, დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციების გამომუშავება.
2018 წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
- წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი;

○ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილია შრომის ბაზრის მოთხოვნების ინტენსიური კვლევა და მისი გათვალისწინება. ○ მიზანშეწონილია პროგრამის შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ მიზანშეწონილია საზოგადოების ინფორმირებულობა, პროგრამის რეკლამა, პოპულარიზაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ დაირთავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 70

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
6. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ვეფხვაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ღაღანიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანჟელა აბულაძე